# გაბელიას “ბროლის ნახტომი”

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 11 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მოსკოვი). ძირითადი და დამატებითი დრო – 0:0, პენალტებით – 5:4.

თბილისი: გაბელია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი (კაკილაშვილი), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე (ყიფიანი), გუცაევი, გ. მაჩაიძე, შენგელია.

მოსკოვი: გონტარი, ლოვჩევი, ნიკულინი, მახოვიკოვი, ბუბნოვი, პეტრუშინი, კოლესოვი (პავლენკო), მინაევი, ტოლსტიხი, მაქსიმენკოვი, გაზაევი.

მსაჯი: მ. მტუპარი (ივანო–ფრანკოვსკი).

მაშ ასე, დამთავრდა სსრ კავშირის თასის 38–ე გათამაშება – მოსკოვის “დინამოს” მეათე, ხოლო თბილისელ დინამოელთა მეშვიდე ფინალი. თბილისის “დინამო” თასის ორგზის მფლობელია…

მომქანცველი ოთხი ტაიმი – 120 წუთი და დამატებით 14 პენალტი.

100 ათასმა მაყურებელმა, რომელიც ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მოვიდა ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე და მილიონობით ტელემაყურებელმა ქართული ფეხბურთის ახალი გამარჯვება იხილა. თბილისელ დინამოელთა ამ თაობამ შეძლო ის, რაც ვერ მოახერხა მათმა “წინაპრებმა” 1937 და 1970 წლებში, მოსკოველ თანაკლუბელებთან მატჩებში.

…90 წუთი უშედეგოდ მთავრდება. დამატებითი 30 წუთი. კვლავ 0:0. და აი, მატჩის არბიტრი მ. სტუპარი პენალტების სერიას ნიშნავს…

გამარჯვებული ვერც მან გამოავლინა – 3:3. დავა გრძელდება, ბურთთან მ. მაჩაიძეა – 4:3, მაგრამ მოსკოველი ტოლსტიხი ანგარიშს კვლავ ათანაბრებს – 4:4. თბილისელთა მცველი სულაქველიძე ისევ აწინაურებს ჩვენს გუნდს – 5:4, “სიტყვა” მოსკოველებს ეკუთვნით – ვალერი გაზაევი დიდხანს ემზადება, გამორბენი, დარტყმა… მეკარე ოთარ გაბელია მისგან მარჯვენა კუთხეში ელვისებურ ნახტომს, “ბროლის” ნახტომს აკეთებს და თბილისის “დინამო” სსრ კავშირის თასის ორგზის მფლობელი ხდება!